გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 134

2022 წლის წლის 8 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების, შპს მეროსთვის (ს/ნ 418476964), პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 20 ივნისს შემოსულია შპს მეროს (ს/ნ 418476964) განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია, სარგებლობის უფლებით გადაეცეს, გორში, სტალინის ქ. მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.21.024, დაზუსტებული ფართით 25.00 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართით 14.69 კვ.მ.

აუდიტური კომპანია „კომპაუდის" 2022 წლის 16 მაისის N129-ქ დასკვნით, მიწის ნაკვეთის ს/კ ქონების 66.45.21.024. საწყისი საპრივატიზებო ღირებულება შეადგენს 21,300.00 (ოცდაერთიათას სამას) ლარს.

გორის მუნიციპალიტეტს არ არქვს დაგეგმილი აღნიშნული ქონების რაიმე დანიშნულებით გამოყენება. მისი იჯარის ფორმით გაცემა, ადგილობრივ ბიუჯეტს შეავსებს გარკვეული ოდენობის თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია აღიშნული ქონების, შპს მეროსთვის (ს/ნ 418476964) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა 10 (ათი) წლის ვადით. რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით

გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის საფუძველზე, ჯერ განისაზღვროს ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი, შემდეგ წლიური საიჯარო ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორი, სტალინის ქ. მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.21.024, დაზუსტებული ფართით 25.00 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართით 14.69 კვ.მ, სადაც მოწყობილია კიბის უჯრედი, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ხელშეკრულებით გადასცეს შპს მეროს (ს/ნ 418476964) დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით.

2. საწყისი საბაზრო ღირებულება: გორი, სტალინის ქ. მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.21.024, დაზუსტებული ფართით 25.00 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართით 14.69 კვ.მ, განისაზღვროს 21,300.00 (ოცდაერთიათას სამას) ლარის ოდენობით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით.

4. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 10 (ათი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს ქონება, ს/კ 66.45.21.024 გადაეცემა დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით (კიბის უჯრედი).

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**